



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„შენობის სისტემების ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამა
შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 29.06.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი:24/11/2023

თბილისი

შინაარსი

<u>I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ</u>	4
<u>II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა</u>	5
<u>III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან</u>	11
<u>1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</u>	11
<u>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</u>	23
<u>3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</u>	32
<u>4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა</u>	36
<u>5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</u>	47

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211359448
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ღარიბაშვილი სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა ნარეკლიშვილი შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დიმიტრი ცანავა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	შენობის სისტემების ინჟინერია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Building Systems Engineering
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	შენობის სისტემების ინჟინერიის ბაკალავრი (0732.1.3.)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	242
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული გადაწყვეტილება N.243 2019 წლის 13 დეკემბერი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

"შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 13 დეკემბრის N.243 გადაწყვეტილების საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა ვადა - 6 თვე (2020 წლის 22 ივნისამდე). საგანმანათლებლო დაწესებულებამ რეკომენდაციები გაითვალისწინა. . 2021 წელს დამტკიცდა შენობის სისტემების ინჟინერიის დარგობრივი მახასიათებელი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის. საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია და პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად იყვნენ ჩართულნი „შენობის სისტემების ინჟინერიის დარგობრივი მახასიათებლის“ შემუშავებაში. საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები აღნიშნულ დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამაში განახორციელა ცვლილებები დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და საგანმანათლებლო პროგრამას შესცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კვალიფიკაციის კოდი. მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაცია გახდა შენობის სისტემების ინჟინერიის ბაკალავრი (0732.1.3). აკრედიტაციის დებულების შესაბამისად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაიგეგმა მონიტორინგის პროცესი.

პროგრამა განხორციელდება ქართულ ენაზე და შედგება საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების, საბაზო განათლების, ძირითადი განათლების, პრაქტიკული განათლების სასწავლო კურსებისა და არჩევითი საგნებისაგან. პროგრამის მოცულობა კრედიტებში არის - 242 ECTS (1 კრედიტი = 28 სთ), რაც ნაწილდება შემდეგნაირად:

საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება - 53 ECTS

საბაზო განათლება - 62 ECTS

ძირითადი განათლება - 103 ECTS

პრაქტიკული განათლება - 6 ECTS

არჩევითი საგნები - 18 ECTS

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში, ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები შეთავაზებულია 171 ECTS-ის მოცულობით. (საბაზო განათლება, ძირითადი განათლება და პრაქტიკული განათლება).

1. საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს:

- ინგლისური ენა
- აზროვნების მათემატიკური წესი

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- მსოფლიო ისტორია და საქართველო
- ქართული ენა და ქართველები
- ეკონომიკის საფუძვლები
- ბუნებისმეტყველება
- ანთროპოლოგია
- ლოგიკა
- ფილოსოფია
- ფსიქოლოგია
- პოლიტიკური იდეოლოგიები
- ლიტერატურა და ხელოვნება

2. საბაზო განათლება მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს:

- კალკულუსი I
- კალკულუსი II
- დიფერენციალური განტოლებები
- წრფივი ალგებრა
- ფიზიკა 1: მექანიკა და თერმოდინამიკა
- ფიზიკა 2: ელექტრობა და მაგნეტიზმი
- ზოგადი ქიმია
- რიცხვითი მეთოდები (მატლაბით)
- ალბათობა და სტატისტიკა
- პროფესიული პრაქტიკა და პასუხისმგებლო
- შესავალი ციფრულ ტექნოლოგიებში
- პროგრამირების მეთოდოლოგია

3. ძირითადი განათლება მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს:

- საინჟინრო ქიმია
- საინჟინრო მექანიკა (სტატიკა და დინამიკა)
- თერმოდინამიკა
- სითხეების მექანიკა
- მასალათა გამძლეობა
- საინჟინრო გრაფიკა I
- საინჟინრო გრაფიკა II
- მასალათმცოდნეობა
- შენობის კონსტრუქციები და ანალიზი
- შენობის ინჟინერიის პროექტი (Junior Project)
- შენობის ინჟინერიის პროექტი (Conception)
- შენობის ინჟინერიის პროექტი (Final Project)
- შესავალი შენობის სისტემების ინჟინერიაში
- საინჟინრო სისტემები I
- საინჟინრო სისტემები II
- თბოგადაცემის პრინციპები
- HVAC პროექტირება

- ელექტრული წრედები
- სისტემების მართვა
- მშენებლობის მართვის პრინციპები

4. პრაქტიკული განათლება მოიცავს პრაქტიკას ინჟინერიაში.

5. არჩევითი საგნები მოიცავს ნებისმიერი სასწავლო კურსის შერჩევას სხვა პროგრამებიდან.

პროგრამა ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკასა და შენობის ინჟინერიის დასკვნით პროექტს, რომლის მიზანია სტუდენტებმა სწავლის დროს შექმნილი ცოდნა და უნარები რეალური საპროექტო ამოცანების გადასაჭრელად გამოიყენონ და შედეგად შექმნან პროექტი, რომელიც სფეროს მოწვეული პროფესიონალების მიერ შეფასდება.

ასევე, პროგრამა ითვალისწინებს პროექტს, რომლებიც შენობის სისტემების ინჟინერიის სტუდენტებმა თავისუფალი უნივერსიტეტის არქიტექტურის პროგრამის სტუდენტებთან ერთად უნდა შეასრულონ, რაც მათ დამატებით განუვითარებს ინტერდისციპლინური თანამშრომლობისა და კომპლექსური აზროვნების უნარს.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - შენობის სისტემების ინჟინერიის ბაკალავრი

○ პროგრამაში განსაზღვრულია შემდეგი პუნქტები:

- პროგრამის სახელწოდება
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია
- სწავლების მოცულობა კრედიტებში
- სწავლების ენა
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა.
- პროგრამის მიზანი.
- დასაქმების სფეროები.
- სწავლის შედეგები
- სწავლებისა და სწავლის მეთოდები
- ცოდნის შეფასების სისტემა.
- ადამიანური და მატერიალური რესურსები
- სასწავლო გეგმა.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე სწავლა ხორციელდება 3 წლის განმავლობაში. კურსდამთავრებულები ჯერ არ ყავთ.

საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია და პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად იყვნენ ჩართულნი „შენობის სისტემების ინჟინერიის დარგობრივი მახასიათებლის“ შემუშავებაში. საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები აღნიშნულ დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 12 ივნისის №679070 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- ირმა ღარიბაშვილი - აკრედიტაციის ექსპერტი (თავმჯდომარე)
- თეა ნარეკლიშვილი - აკრედიტაციის ექსპერტი (წევრი)

დიმიტრი ცანავა - აკრედიტაციის ექსპერტი (წევრი)

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის, "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი შედგა 2023 წლის 29 ივნისს. ვიზიტის განმავლობაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის განვითარების ჯგუფს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, პოტენციურ დამსაქმებლებსა და ბიბლიოთეკის წარმომადგენლებს.

ექსპერტებმა ვიზიტისას დაათვალიერეს ლაბორატორიები, აუდიტორიები და ბიბლიოთეკა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნეს ძირითადი მიგნებები.

ვიზიტი წარიმართა კომფორტულ და კონსტრუქციულ ვითარებაში წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „შენობის სისტემების ინჟინერიის“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ზოგადად, წარმოდგენილი პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის შესაბამის სტანდარტებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. კერძოდ:

- პროგრამის **პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია** აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.
- პროგრამის **მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია** აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.
- პროგრამის **მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია** აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.
- პროგრამის **მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია** აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.
- პროგრამის **მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია** აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კომპონენტი 1.5.

1. „შენობის ინჟინერიის პროექტის (junior project)“ სასწავლო კურსის სილაბუსში დაშვებულია მექანიკური უზუსტობა. შეფასების გრაფაში სიტყვა „ქულები“ ჩანაცვლებულია სიტყვით - „კრედიტები“. შეფასების სისტემად გამოყენებულ უნდა

იქნეს სიტყვა „ქულები (Score)“ ან მონაცემები უნდა გამოისახოს - „პროცენტებში (%)“. მიზანშეწონილია, გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.

2. VII სემესტრის სილაბუსში - „HVAC პროექტირება“, მოცულობით 5 (140), დაშვებულია მექანიკური უზუსტობა. იხილეთ ჩანაწერი: 2*13=30 (შუალედური შეფასების ქულა). მიზანშეწონილია, გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.

კომპონენტი 2.2.

1. სასურველია, საგანმანათლებლო დაწესებულებამ განახორციელოს "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ინფორმირება და ნებაყოფლობითი ჩართვა ადგილობრივ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.
2. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო დაწესებულებამ "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შესთავაზოს საერთაშორისო მობილობა კრედიტების დაგროვებით („ERASMUS+“ ან/და სხვ.).

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. აღნიშნული პოზიცია სრულად იქნა გაზიარებული და გაცემული რეკომენდაციები გადატანილ იქნა რჩევაში

იხილეთ დეტალურად:

- სასურველია, საგანმანათლებლო დაწესებულებამ განახორციელოს "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ინფორმირება და ნებაყოფლობითი ჩართვა ადგილობრივ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია: დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და „ცოდნის ფონდის“ მიერ დაფინანსებული კვლევითი აქტივობების ჩამონათვალი 2020-2023 წლების მონაცემებით სხვა პროგრამებთან მიმართებაში. უსდ არ ითვალისწინებს რეკომენდაციას.

ექსპერტთა პოზიცია: ექსპერტთა მიერ მიღებულ და გაზიარებულ იქნა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და რეკომენდაცია გადატანილ იქნა რჩევების ნაწილში.

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო დაწესებულებამ "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შესთავაზოს საერთაშორისო მობილობა კრედიტების დაგროვებით („ERASMUS+“ ან/და სხვ.).

უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია: დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. უსდ არ ითვალისწინებს რეკომენდაციას.

ექსპერტა პოზიცია: ექსპერტა მიერ მიღებულ და გაზიარებულ იქნა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და რეკომენდაცია გადატანილ იქნა რჩევების ნაწილში. შესაბამისად, ქვესტანდარტი 2.2 „პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება“ შეფასდა როგორც - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

-
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის „შენობის სისტემების ინჟინერიის“ მიზანია მოამზადოს სტუდენტები კარიერული წინაპირობებისთვის სისტემების ინჟინერიის სფეროში, ან შემდგომში სისტემების ინჟინერიის სფეროს მიკუთვნებულ მათ მიერ არჩეულ სპეციალიზაციაში. პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას წარმატებული პროფესიული კარიერისთვის, რათა მათ წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივი კეთილდღეობის, ცხოვრების ხარისხისა და შექმნილი გარემოს გაუმჯობესებაში.

პროგრამის მიზნები ხაზგასმით ჩამოყალიბებულია ეტაპობრივად:

1. კურსდამთავრებულები იყვნენ მოთხოვნადი და წარმატებულები შენობის სისტემების ინჟინერიის სფეროში.
2. კურსდამთავრებულებმა შეძლეს პროფესიულ საქმიანობაში სწავლის პერიოდში განვითარებული კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარების გამოყენება და ჰქონდეთ ცვალებად გარემოში ადაპტაციის უნარი ინოვაციური ინტერდისციპლინარული საინჟინრო ცოდნის კარიერულ წინსვლაში გამოყენების გზით.
3. კურსდამთავრებულებმა შეძლეს სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე ინჟინერიის სფეროში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, და მზად იყვნენ სამოღვაწეო გარემოს ცვლილებების შესაბამისად მუდმივად განაახლონ და შეიძინონ ახალი ცოდნა.

პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტები უზრუნველყოს ხარისხიანი სწავლებითა და მხარდაჭერით აკადემიურ და სტუდენტურ ცხოვრებაში. საბაკალავრო პროგრამის „შენობის სისტემების ინჟინერიის“ საგანმანათლებლო მიზნები სრულად თანხვედრაშია თავისუფალი უნივერსიტეტის ზოგად მისიასთან, და წარმოადგენს ამ მისიის პრაქტიკაში განხორციელების ერთ-ერთ აკადემიურ მექანიზმს, რომელიც გულისხმობს ცოდნის შექმნას, გადაცემასა და გამოყენებას მეცნიერების წინსვლისა და საზოგადოების განვითარებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამა ფარავს ინჟინერიის საფუძვლების ფართო სპექტრს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლები განათლების ხარისხის ცენტრთან და დარგის სხვა პროფესიონალებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულნი შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებაში, რაც თავისთავად მიანიშნებს, რომ წარმოდგენილი პროგრამა სრულად არის თანხვედრაში დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის თანდართული დოკუმენტაციისა და ინტერვიუებებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დგინდება, რომ „შენობის სისტემების ინჟინერია“ პროგრამის შემუშავებისას გამოყენებული იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარის შეფასება და რეკომენდაციები. შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებთან პროგრამის შესაბამისობის დადგენის მიზნით პროგრამის ხელმძღვანელის, ადმინისტრაციული მენეჯმენტისა და განმახორციელებელი პერსონალის მხრიდან ტარდებოდა კვლევები და ბაზრის შესწავლა. კვლევების საფუძველზე დადგენილი რჩევები და რეკომენდაციები გაზიარებულია პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ.

პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, საბაკალავრო პროგრამის კონცეფცია ითვალისწინებს უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებს და მისიას. პროგრამა თავისი სტრუქტურით და შინაარსით ორიენტირებულია სტუდენტებს განუვითაროს კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარები, რაც მომავალ კურსდამთავრებულებს ხელს შეუწყობს იყვნენ მოქნილები და წარმატებულები მუდმივად ცვალებად საქმიან სამყაროში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „შენობის სისტემების ინჟინერია“;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების წესი;
- თავისუფალი უნივერსიტეტის მისია და ხედვა: <http://freeuni.edu.ge/ge/mission-and-vision>
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და განვითარების გეგმა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კომპიუტერული მეცნიერებების, მათემატიკისა და ინჟინერიის MACS[E] სკოლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „შენობის სისტემების ინჟინერია“ სწავლის შედეგები შემუშავებულია დარგში მოქმედ საერთაშორისო სტანდარტების, მათ შორის, ამერიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების სააკრედიტაციო საბჭოს (ABET) მოთხოვნებით, რაც შესაძლებლობას იძლევა მომავალში პროგრამა სახელმწიფო ენაზე საერთაშორისოდ აღიარებული ABET აკრედიტებული გახდეს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობას დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. იგი ჩაშლილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერის მიერ დადგენილი სამი კომპეტენციის, მისანიჭებელი კვალიფიკაციის და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული, არის მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტური. პროგრამის სწავლის შედეგებში ცხადად არის განსაზღვრული დარგისთვის საჭირო ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობები და ავტონომიურობა რომელიც უნდა გააჩნდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მფლობელ პირს.

შენობის სისტემის ინჟინერიის პროგრამით გათვალისწინებულია, რომ კურსდამთავრებულს კურსის დასრულების შემდგომ ექნებათ შემდეგი ცოდნა, გაცნობიერება, უნარი და პასუხისმგებლობა:

1. გაიაზრებენ თუ რა არის ბუნება, საზოგადოება, ადამიანი და ხელოვნება; შეძლებენ რაოდენობრივ აზროვნებას; დაეუფლებიან პროფესიული განვითარებისათვის საჭირო მრავალმხრივ საბაზისო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რაც შეთავაზებულია საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების მოდულით; მიიღებენ მორალური ღირებულებების საფუძველზე ეთიკური გადაწყვეტილებებს და გააცნობიერებენ სამყაროს და საზოგადოების მრავალფეროვნებას.
2. უნარი, რის საფუძველზეც განსაზღვრავს, აყალიბებს და წყვეტს ამოცანებს მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და პრობლემების გადაჭრის სხვა მიდგომების გამოყენებით.
3. ცოდნა, რომლის შედეგადაც აცნობიერებს შენობის კონსტრუქციების, სტრუქტურის და ელემენტების, ასევე შენობის საინჟინრო საჭიროებების ურთიერთქმედებასა და ურთიერთ დამოკიდებულებას.
4. აქვს ის ცოდნა, რაც საშუალებას აძლევს ფლობდეს შენობა ნაგებობების საინჟინრო აღჭურვის, აგების, მონტაჟის, გამართვის, მართვასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს.

5. აქვს უნარი, საინჟინრო გადაწყვეტილებათა მიღებისა და დასკვნების გამოტანის პროცესში შეაგროვოს მონაცემები და გაანალიზოს ისინი.
6. აქვს პასუხისმგებლობა, შენობის საინჟინრო სისტემების ამოცანებისა და მოთხოვნების შეფასებისას გაიაზროს და გაითვალისწინოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, ფუნქციონირების და კეთილდღეობის, ასევე, ეკონომიკური, სოციალური და გარემოს დაცვითი ფაქტორები და ღონისძიებები.
7. შეუძლია მონაწილეობა მიიღოს შენობების საინჟინრო სისტემების დაპროექტებაში და მათი ტექნიკური მახასიათებლების განსაზღვრაში.
8. კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობა გაუწიოს შენობის საინჟინრო სისტემების გამოყენებადობისა და გამართვის ტექნიკურ საკითხებს და მართოს შენობის კონკრეტული საინჟინრო სისტემების გამოყენების პროცესი.
9. გააცნობიეროს ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობა და წარმართოს ინფორმაციაზე დაყრდნობილი მსჯელობა, რომელიც ინჟინრულ გადაწყვეტილებებში ეფუძნება გლობალურ, ეკონომიკურ, გარემო და სოციალურ კონტექსტის ზეგავლენას.
10. ეფექტიანად მუშაობს გუნდში; დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციისას, საინჟინრო პროექტის შემუშავებისა და წარდგენისას იყენებს გრაფიკულ, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნიკასა და ტექნოლოგიებს.
11. განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას.

პროგრამების შინაარსი, სტრუქტურა და მისი ყველა კომპონენტის ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგების რუკით. სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური.

პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყო სხვადასხვა დაინტერესებული პირის - კერძოდ, დარგის წარმომადგენელი ადგილობრივი და საერთაშორისო წამყვანი პროფესიონალების, დამსაქმებლებისა და სტუდენტების ჩართულობა და მათგან მიღებული რეკომენდაციები. აღნიშნული საკითხი დადასტურდა ინტერვიუების პროცესში.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „შენობის სისტემების ინჟინერია“;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების წესი;
- თავისუფალი უნივერსიტეტის მისია და ხედვა:
<http://freeuni.edu.ge/ge/mission-and-vision>
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და განვითარების გეგმა;
- წარმოდგენილი სილაბუსები;

- პროგრამის კომპეტენციების რუკა;
- პროგრამის მიზნების რუკა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგი და სწავლის შედეგების შეფასება ეყრდნობა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის გამოცდების ჩატარების წესს, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესს, ბაკალავრიატის დებულებას. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი მუდმივად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების ძირეულ გადახედვას, განახლებას და განვითარებას, რათა პროგრამები სრულად მიესადაგებოდეს თანამედროვე საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და აქტუალურ საკითხებს მოიცავდეს. ამ მიზნით რეგულარულად იმართება პროგრამაში დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები და პროგრამის შინაარსობრივი განხილვა. შეხვედრები იმართება, სტუდენტებთან, ლექტორებთან და დამსაქმებლებთან. მათგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება სილაბუსების, კურიკულუმების და მთლიანად პროგრამის მოდიფიკაცია. ყოველი აკადემიური წლის განმავლობაში 2-ჯერ (შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებს შორის) ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების კრიტიკული ანალიზი, რომელიც შესაძლოა ეფუძნებოდეს სტუდენტების გამოკითხვისა და მათთან განხორციელებული ფოკუს-ჯგუფების შედეგებს, დამსაქმებლებისა და ლექტორებისაგან მიღებულ ინფორმაციას. საგანმანათლებლო პროგრამების კრიტიკული ანალიზი მოიცავს დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული ინფორმაციის დამუშავებას, პრიორიტეტების იდენტიფიცირებას, შესაბამისი აქტივობების

განსაზღვრასა და განხორციელებას. საგანმანათლებლო პროგრამების კრიტიკული ანალიზის შედეგად შესაძლოა განხორციელდეს ისეთი ცვლილებები, როგორცაა: სილაბუსებში თემატიკისა და ლიტერატურის განახლება, შეფასების სისტემების შესაბამისი საგნების მიზნებთან მორგება, პრაქტიკული ან ლაბორატორიული მეცადინეობების დამატება, ახალი საგნების დამატება, საკადრო ცვლილება და ა.შ. თავისუფალ უნივერსიტეტში პროგრამების შეფასებისთვის შემუშავებულია შიდა თვითშეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს შიდა თვითშეფასების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, გარე შემფასებლის, პროგრამების

ხელმძღვანელების, სამუშაო ჯგუფების და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის) ჩართულობას. პროგრამების თვითშეფასების მიზნით გამოიყენება სხვადასხვა საფეხურის პროგრამებისთვის (საბაკალავრო/სამაგისტრო და სადოქტორო) შემუშავებული თვითშეფასების ინსტრუმენტები, რომელიც ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით შემდეგი თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებას:

- სტუდენტების აკადემიური მოსწრება;
- სტუდენტების ყოველსემესტრული გამოკითხვა პროგრამაში შემავალ კურსებთან დაკავშირებით;
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება;
- პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება სამიზნე ნიშნულების საფუძველზე;
- დამსაქმებლების უკუკავშირი პროგრამის შესახებ;
- პროგრამის კოლეგიალური შეფასება (გარე რევიუ);
- სტუდენტების გამოკითხვა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით;

ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ასევე ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, ხარისხის სამსახურის სპეციალისტებთან, სტუდენტების დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუებისას გამოვლინდა, რომ თვითშეფასების პროცესი ითვალისწინებს პროგრამების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენას და მათი განვითარებისთვის ძირითადი საჭიროებების განსაზღვრას და ინტერვენციების დაგეგმვას.

უნივერსიტეტში შემუშავებულია სამწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის განახლება ხორციელდება ყოველწლიურად და მას „მცოცავი“ ხასიათი აქვს. ყოველ წელს ხდება იმ წლით განსაზღვრული ამოცანების შეფასება და სამოქმედო გეგმის განახლება. განახლებული სამოქმედო გეგმა მოიცავს მომდევნო სამ წელიწადს. სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ელემენტის შესრულება დადგენილ ვადაში არ მოხერხდა, კეთდება პრობლემის ანალიზი და დგინდება შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზები.

იმ შემთხვევაში, თუ მიზეზი არასაკმარისი ქმედებებია, იგეგმება დამატებითი ქმედებები პრობლემის აღმოსაფხვრელად და განახლდება სამოქმედო გეგმა. თუ აღმოჩნდა, რომ მიზეზი შეცვლილი გარემოებები ან არასწორი დაგეგმარებაა, ხდება სტრატეგიული გეგმის გადახედვა და სამოქმედო გეგმის განახლება. სამწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, მოიცავს როგორც უშუალოდ ამოცანების შესრულების შეფასებას, ასევე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა ასპექტის ანალიზს. თავისუფალი უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტი, სპეციალობის საგნების პარალელურად, ზოგად საუნივერსიტეტო საგნებსაც გადის, რაც ხელს უწყობს ზოგადი

განათლების დონის ამაღლებას და ინტერესთა სფეროს გაფართოებას. მნიშვნელოვანია, რომ თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებს შეუძლიათ დამატებითი გადასახადის გარეშე დაეუფლონ მეორად სპეციალობას. შეფასების მიზნით განხორციელდა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვა, ფაქტობრივი მონაცემების შეგროვება და ანალიზი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდა ზოგადი საუნივერსიტეტო საგნების გადახედვა და მოდიფიცირება.

სტუდენტებთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის სწავლების განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებისას გამოვლინდა, რომ კურსების ეფექტურობის შეფასების მიზნით, ყოველსემესტრულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა. ხორციელდება სასწავლო კურსის ისეთი ასპექტების შეფასება, როგორცაა კურსის შინაარსი, მოცულობა, სტუდენტთა დატვირთვა და შეფასების სისტემა. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომი ხდება სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირებისთვის, ასევე პროგრამის ხელმძღვანელისთვის კომპონენტის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამების შიდა თვითშეფასება უწყვეტი პროცესია. ამასთან ერთად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელებთან და სამუშაო ჯგუფთან ატარებს ინდივიდუალურ კონსულტაციებს და სთავაზობს მათ რეკომენდაციებს პროგრამის სწავლის შედეგების სწორად ჩამოყალიბებასა და შეფასებასთან დაკავშირებით.

თავისუფალი უნივერსიტეტის მიზანია სტუდენტებს თანამედროვე მიდგომებზე დაფუძნებული ცოდნა გადასცეს. შესაბამისად, უნივერსიტეტის ხედვაა მომავალშიც რეგულარულად მოხდეს პროგრამების გადახედვა და თანამედროვე საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად მოდიფიკაცია, არსებული თანამედროვე მიდგომების დანერგვა.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის კომპეტენციების რუკა;
- სამიზნე ნიშნულები და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- თავისუფალი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ბაკალავრიატის დებულება;
- გამოცდების ჩატარების წესი;
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და ინსტრუმენტები;
- პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;
- პროგრამის შეფასების ტრეინინგ-მოდული;
- აკადემიური თანამდებობების მქონე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;

- ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები;
- ექსპერტების მიერ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია;
- თავისუფალი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა „შენობის სისტემების ინჟინერია“ შედგენილია თავისუფალი უნივერსიტეტში მოქმედი “საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის და პროცედურების” მიხედვით, რომელიც მოიცავს პროგრამის შემუშავებისა და დაგეგმვის ძირითად პრინციპებსა და მასთან დაკავშირებულ ყველა პროცესს. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, რომლებშიც დადგენილია დეტალური მოთხოვნები პროგრამის შემადგენელ ყველა მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში. პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესთან და აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის გამოყენებით.

საბაკალავრო პროგრამის „შენობის სისტემების ინჟინერია“, რომელიც აქამდე გადიოდა „ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობის ინჟინერიასა და მენეჯმენტში“ მისანიჭებელი

კვალიფიკაციით, ახალი 2021 წლის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის შენობის სისტემების ინჟინერიის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, შეეცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაცია და ენიჭება „შენობის სისტემების ინჟინერიის ბაკალავრი“. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში არსებული პროგრამის დაგეგმვის, შედგენისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: არჩევითი საგნები, რომლებიც შეუძლია სტუდენტს აირჩიოს ნებისმიერი სხვა კურიკულუმიდან, იგი მოიცავს 18 კრედიტს, პრაქტიკული განათლება, რომელიც მოიცავს პრაქტიკას და შედგება 6 კრედიტისაგან; ძირითადი განათლება, რომელიც 103 კრედიტს მოიცავს; საბაზო განათლება, იგი 62 კრედიტს მოიცავს, ხოლო საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება - 53 კრედიტს. სულ პროგრამა მოიცავს 242 კრედიტს. აღსანიშნავია, რომ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს მოიცავს - საბაზო განათლება, ძირითადი განათლება და პრაქტიკული განათლება. ჯამში 171 ECTS.

პროგრამას ახლავს კომპეტენციათა რუკა, რომელიც ადგენს მიმართებას პროგრამის კომპონენტებსა და სწავლის შედეგებს შორის და კურსების სემესტრული გადანაწილების გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო კომპონენტთა თანმიმდევრობასა და მთლიანობას.

შენობის სისტემების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი) და პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 242 კრედიტი (ECTS).

პროგრამა მოიცავს ფუნდამენტურ კურსებს მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, რაც შესაბამის აკადემიურ პლატფორმას ქმნის შემდგომში საინჟინრო დაპროექტების, საკონსულტაციო, ზედამხედველობისა და მართვის კურსებისთვის. პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს ინჟინერიის სფეროში პრაქტიკული უნარების და თეორიული ცოდნის სათანადო სინთეზს.

პროგრამა ითვალისწინებს საველე პრაქტიკას, პროფესიულ პრაქტიკასა და პასუხისმგებლობას, პრაქტიკა ინჟინერიაში და შენობის ინჟინერიის სამ პროექტს (Junior, Project; Conception; Final Project), რომლის მიზანია სტუდენტებმა სწავლის დროს შეძენილი ცოდნა და უნარები რეალური საპროექტო ამოცანების გადასაჭრელად გამოიყენონ და შედეგად შექმნან პროექტი, რომელიც სფეროს მოწვეული პროფესიონალების მიერ შეფასდება. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლების ხელმძღვანელობით, დაამუშავებენ ფინალურ პროექტს, რომლის მიზანია შენობის სისტემების ინჟინერიის სფეროში არსებული რეალური გამოწვევებისთვის სტუდენტების მომზადება. პროექტების (Junior, Project; Conception; Final Project) ფარგლებში სტუდენტმა უნდა მოახდინოს შეძენილი თეორიული ცოდნის და უნარების გამოყენება, ასევე გუნდში ეფექტური მუშაობის უნარების დემონსტრირება. მათ წინაშე დასმული საინჟინრო ამოცანის გადაჭრისას სტუდენტები პროექტის ფარგლებში შეფასდებიან როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად.

პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ მათზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის განსაზღვრული პროგრამის სტრუქტურაში. პროგრამის კომპონენტები ორიენტირებულია პროგრამით გათვალისწინებული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევაზე, ხოლო წინაპირობების არსებობა უზრუნველყოფს ცოდნის

თანმიმდევრულ დაუფლებას. პროგრამაში გათვალისწინებულია სემესტრული გეგმა სტუდენტთა დაუბრკოლებელი პროგრესის უზრუნველსაყოფად. ძირითადი სპეციალობით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი კურსების პარალელურად, პროგრამა ითვალისწინებს პროექტს, რომლებიც შენობის სისტემების ინჟინერიის სტუდენტებმა თავისუფალი უნივერსიტეტის არქიტექტურის პროგრამის სტუდენტებთან ერთად უნდა შეასრულონ, რაც მათ დამატებით განუვითარებს ინტერდისციპლინური თანამშრომლობისა და კომპლექსური აზროვნების უნარს. პროგრამა სტუდენტს სწავლების პირველივე სემესტრიდან სთავაზობს კურსებს მათემატიკასა და საბაზისო მეცნიერებებში და ასევე, უზრუნველყოფს ზოგადი ცოდნისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას ისეთი კურსების შეთავაზებით, როგორცაა შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, აკადემიური წერის ტექნიკები და სხვ. ამასთან, ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებშიც, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს დამატებითი უცხო ენა. აღსანიშნავია ასევე, რომ უნივერსიტეტში მოთხოვნაა ენაში B2-ის დონის მიღწევა, ამიტომ სტუდენტი უნივერსიტეტში მოხვედრისთანავე გადის ტესტირებას ინგლისურის ენის ცოდნის დონის გასარკვევად, რამეთუ უნივერსიტეტის შიდა მითითებაა, სტუდენტებისათვის დამატებითი მეცადინეობების ჩატარება, რამეთუ მათ შეძლონ მე-2 კურსიდან ინგლისურ ენაზე არსებული ლიტერატურის მოძიება.

პროგრამის ხელმძღვანელებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუებისას ნათლად გამოიკვეთა, რომ შენობის სისტემების ინჟინერიის პროგრამის სტრუქტურის შემუშავების პროცესი თანამონაწილეობითი პროცესი იყო და განხორციელდა ყველა რელევანტური პირის, მათ შორის დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დარგის საერთაშორისო წარმომადგენლების/ექსპერტებისა და სტუდენტებისა და ჩართულობით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო გამოცდილება უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის შენობის სისტემების ინჟინერიის უახლესი მიღწევების გაცნობას, რაც ახალ საინჟინრო ლაბორატორიებთან ერთად, უახლესი და თანამედროვე სასწავლო გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას იძლევა.

პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია (მიზნები, შედეგები, სემესტრული გეგმა) ნებისმიერი დაინტერესებული მხარეებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით განთავსებულია თავისუფალი უნივერსიტეტის ვებგვერდზე: <https://freeuni.edu.ge/>.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- შენობის სისტემების ინჟინერიის დარგობრივი მახასიათებელი;
- სწავლის შედეგების რუკა;
- სილაბუსები;
- კურსების კატალოგი და საგნების სემესტრული გეგმა;
- თავისუფალი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- თავისუფალი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;

- თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- პროგრამის შეფასების დებულება;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი;
- პროგრამის გარე შეფასების დოკუმენტები;
- სტუდენტების ფოკუს-ჯგუფის ანგარიში.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შენობის სისტემების ინჟინერიის ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსი, კონკრეტულად, კურსის სწავლის შედეგები, შესაბამისობაშია აღნიშნული პროგრამის სულ მცირე ერთ სწავლის შედეგთან (იხ. პროგრამის კომპეტენციების რუკა). თითოეული კურსის სილაბუსში ასახულია კურსის სწავლის შედეგისა და პროგრამის სწავლის შედეგის შესაბამისობა. თითოეული კურსის მოცულობა და სიღრმე შეესაბამება საბაკალავრო საფეხურისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, მოცულობა და დატვირთვა განსაზღვრავს კრედიტების რაოდენობას და მიღწევადს ხდის კურსით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და

ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები.

თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები გაწერილია სილაბუსში. აგრეთვე კურსის სწავლის შედეგების შეფასება დეტალურად არის მოცემული კურსის სილაბუსში და მოიცავს შესაბამის შეფასების კომპონენტებსა და კრიტერიუმებს/რუბრიკებს. პროგრამა თავისი სტრუქტურით: წინაპირობებით, სწავლების მეთოდებითა და რესურსებით იმგვარადაა ორგანიზებული, რომ შესაძლებელს ხდის სტუდენტს განუვითაროს პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპეტენცია. კომპეტენციების მიღწევა უზრუნველყოფილია თითოეული სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული უახლესი ლიტერატურითა და სასწავლო რესურსებით, რომლებიც წარმოადგენს სფეროსათვის აქტუალურ, რელევანტურ, თანამედროვე ტენდენციებისა და მიღწევების ამსახველ მასალას.

აღსანიშნავია, რომ გარკვეული სილაბუსების საფუძველზე გაიწერა რჩევები, კერძოდ:

„შენობის ინჟინერიის პროექტის (junior project)“ სასწავლო კურსის სილაბუსში, დაშვებულია მექანიკური უზუსტობა. შეფასების გრაფაში სიტყვა „ქულები“ ჩანაცვლებულია სიტყვით - „კრედიტები“. შეფასების სისტემად გამოყენებულ უნდა იყოს სიტყვა „ქულები (Score)“ ან მონაცემები უნდა გამოისახოს - „პროცენტებში (%)“.

სილაბუსში - „HVAC პროექტირება“ (VII სემესტრი 5 (140)), დაშვებულია მექანიკური უზუსტობა. იხილეთ ჩანაწერი: $2 \cdot 13 = 30$ (შუალედური შეფასების ქულა). ექსპერტთა რჩევით, უნდა გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსები და გასწორდეს მექანიკური უზუსტობები.

სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- კურსების კატალოგი და საგნების სემესტრული გეგმა;
- პროგრამის სწავლის შედეგების/კომპეტენციების რუკა;
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა;
- კურსების შეფასების კითხვარი;
- თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია.

რეკომენდაციები:

○ -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- „შენობის ინჟინერიის პროექტის (junior project)“ სასწავლო კურსის სილაბუსში დაშვებულია მექანიკური უზუსტობა. შეფასების გრაფაში სიტყვა „ქულები“ ჩანაცვლებულია სიტყვით - „კრედიტები“. შეფასების სისტემად გამოყენებულ უნდა იქნეს სიტყვა „ქულები (Score)“ ან მონაცემები უნდა გამოისახოს - „პროცენტებში (%)“.
- სილაბუსში - HVAC პროექტირება VII სემესტრი 5 (140), დაშვებულია მექანიკური უზუსტობა. იხილეთ ჩანაწერი: 2*13=30 (შუალედური შეფასების ქულა). სასურველია გასწორდეს მექანიკური უზუსტობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამაზე: „შენობის სისტემების ინჟინერია“ დაშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის დებულებით.

- საბაკალავრო პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში. მიღება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე და სამართლიანია და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე აბიტურიენტების მიღებას. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება კანონმდებლობით განსაზღვრულ საგნებში, მათ შორის - მათემატიკაში ან ფიზიკაში. აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის 224/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის თანახმად:
 - უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
 - საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
 - უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
 - საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროსმიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ,

სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

საბაკალავრო პროგრამის მისაღები კონტინგენტის დაგეგმვა ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი კონტინგენტის განსაზღვრის წესის შესაბამისად. აღნიშნულ წესის მიხედვით, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება ისეთი ასპექტები, როგორც არის სწავლების საფეხური, სტუდენტთა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანაფარდობები, პროგრამების მიმართულებები.

პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაცია თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდსა და NAEC-ის მიერ ყოველწლიურად განახლებად საინფორმაციო ცნობარში, ასევე თავისუფალი უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

პროგრამის პოპულარიზაციის და აბიტურიენტებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების მიზნით თავისუფალი უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მხარდაჭერით, სტუდენტთა დეკანი და ფაკულტეტი ორგანიზებას უწევს აბიტურიენტებთან საინფორმაციო შეხვედრებს, კონკურსების ჩატარებას, კონკურსებში გამარჯვებული ფინანსდება გარკვეული ვაუჩერული სისტემით სპეციალური ცოდნის ფონდიდან. უნივერსიტეტი ატარებს „ღია კარის დღეს“.

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თავისუფალი უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://freeuni.edu.ge/>
- „ცოდნის ფონდი“-ს ხელშეკრულებები და მარეგულირებელი წესი;
- უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა გარდა დარგისთვის საჭირო თეორიული ცოდნისა, ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. აღნიშნული პრაქტიკული უნარების განვითარება გათვალისწინებულია ცალკეულ კურსებში კონკრეტული, ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის პრინციპზე დაფუძნებული, პრაქტიკული ხასიათის პროექტების/დავალებების შესრულებით, ლაბორატორიულ სამუშაოებში მონაწილეობით, პროგრამა ასევე ითვალისწინებს საველე პრაქტიკას, პროფესიულ პრაქტიკასა და პასუხისმგებლობას, პრაქტიკას ინჟინერიაში და შენობის ინჟინერიის სამ პროექტს (Junior, Project; Conception; Final Project), რომელთა მიზანია სტუდენტებს სწავლის დროს შეძენილი ცოდნა და უნარები რეალური საპროექტო ამოცანების გადასაჭრელად გამოაყენებინოს და შედეგად სტუდენტებმა შეძლონ პროექტის შექმნა, რომელიც სფეროს მოწვეული პროფესიონალების მიერ შეფასდება. აღნიშნული კომპონენტი უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას და ხელს შეუწყობს სტუდენტების ჩამოყალიბებას შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიან კადრად. ამ მიმართულებით აღსანიშნავია, რომ სამივე პროექტი გარკვეულ გამოცდილებას მისცემს მომავალ სპეციალისტს, პროექტებზე მუშაობისას, სტუდენტებს უხელმძღვანელებს პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი, რომელსაც ექნება როგორც პროგრამის ფარგლებში თეორიული ცოდნა, ასევე, საინჟინრო მიმართულებით პრაქტიკული გამოცდილება.

პროექტები, განსაკუთრებით დამამთავრებელი კურსის პროექტი (Final Project) ხორციელდება უნივერსიტეტის იმ პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით, რომლებთანაც უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიებით, სასწავლო პროცესში ჩართულობა აღრმავებს სტუდენტების სწავლის

პროცესს და აძლევს აუცილებელ გამოცდილებას შენობის სისტემების ინჟინერიის მიმართულებით, რითაც უზრუნველყოფს პროგრამის საგანმანათლებლო შედეგების მიღწევას.

ინტერვიუებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ არ მიუღიათ მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში. ექსპერტთა მხრიდან გაიწერა რეკომენდაციები საკითხთან დაკავშირებით. საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. ექსპერტთა მიერ მიღებულ და გაზიარებულ იქნა წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და რეკომენდაცია გადატანილ იქნა რჩევების ნაწილში. შესაბამისად, ქვესტანდარტი 2.2 „პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება“ შეფასდა როგორც - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სტუდენტებს არ სთავაზობს გაცვლით პროგრამებს. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი თავად მოისურვებს სწავლის გაგრძელებას უცხოურ უნივერსიტეტში, საგანმანათლებლო დაწესებულება ხელს არ შეუშლის სურვილის განხორციელებაში.

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „შენობის სისტემების ინჟინერია“.
- სასწავლო კურსის სილაბუსები.
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.
- კურიკულუმის რუკა.
- სემესტრული გეგმა.
- ბაკალავრიატის დებულება.
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები.
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო დაწესებულებამ "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შესთავაზოს საერთაშორისო მობილობა კრედიტების დაგროვებით („ERASMUS+“ და სხვ.).
- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო დაწესებულებამ განახორციელოს "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ჩართვა ადგილობრივ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შენობის სისტემების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლება ხორციელდება სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი მეთოდის გამოყენებით. პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების საბაკალავრო საფეხურს, კურსის/კომპონენტის შინაარსს და ემსახურება კურსის/კომპონენტის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. მათი გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში, მათ ინტერაქციას როგორც ერთმანეთთან, ასევე ინსტრუქტორთან და ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორცია ავტონომიურობა, კრიტიკული მსჯელობა და ანალიზის უნარი.

პროგრამაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდი, მათ შორის:

- ლექციები და სემინარები;
- წერილობითი და ზეპირი მეთოდი;
- პრაქტიკული მუშაობა;
- ლაბორატორიული მუშაობა;
- დემონსტრირების მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- ანალიზისა და სინთეზის მეთოდი;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა;
- პროექტზე მუშაობა ინდივიდუალურად და ჯგუფებში.
- სწავლების ვერბალური მეთოდი;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- გონებრივი იერიში;

- დედუქციური და ინდუქციური მეთოდი;
- ახსნა-განმარტების მეთოდი;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

საბაკალავრო პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული კომპონენტის შესაბამის სილაბუსში. აღსანიშნავია, რომ გამოყენებული მეთოდები იძლევა შესაძლებლობას, რომ სწავლების პროცესში გათვალისწინებული იყოს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებები. სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. მსგავსი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მომზადებასა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მოქნილ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს. ამავე მიზნებისთვის გამოიყენება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც შეიძლება დაინიშნოს წინასწარ, საოფისე საათების ფარგლებში, ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე “დავალებების შეტყობინების” ან კორპორატიული მეილის საშუალებით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ პროგრამის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება ელექტრონული სწავლების რესურსები, ასევე ხელმისაწვდომი იქნება დისტანციური წვდომა ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსებზე და Zoom პლატფორმაზე.

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით;
- საგანმანათლებლო პროგრამა „შენობის სისტემების ინჟინერია“;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;

რეკომენდაციები:

○ -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„შენობების სისტემების ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტების, სილაბუსების შესწავლის და ამასთანავე ინტერვიუების ჩატარების შემდეგ მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროგრამაზე სტუდენტის შეფასება ხორციელდება კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

თითველი სასწავლო კურსის სილაბუსი საგნიდან გამომდინარე სპეციფიურია და შეფასების მეთოდები სრულად მიესადაგება საგანს, შეფასების კრიტერიუმები გადმოცემულია სილაბუსში. შეფასების სისტემა მრავალკომპონენტანია. ის შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმებისგან. სასწავლო კურსების სილაბუსებში, შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის, დადგენილია კომპეტენციის მინიმალური ზღვარი. სასწავლო სილაბუსები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია. სტუდენტს სილაბუსის გაცნობის შესაძლებლობა სწავლის დაწყებისთანავე აქვს, ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და ადმინისტრაციის თანამშრომელი საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციას უწევს სტუდენტს სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის სილაბუსებთან დაკავშირებით. თითველი სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სტუდენტის შეფასების შემდეგ სისტემას - შუალედური და დასკვნითი შეფასების სახით.

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემის გამოყენებით. ქულების განაწილება და განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად:

- ფრიადი - შეფასება 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასება 81-90 ქულამდე;
- კარგი - მაქსიმალური შეფასება 71-80 ქულა;

- დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასება 61-70 ქულა;
- ჩააბარა -მაქსიმალური შეფასება 51-60 ქულა;
- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასება 41-50 ქულა; ეს ნიშნავს, რომ სტუდენტს სჭირდება მეტი მუშაობა საგნის ჩასაბარებლად და ეძლევა კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომ ჩააბაროს დამატებითი გამოცდა, დამოუკიდებლად მუშაობის შემდეგ;
- ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასება 40 და ნაკლები. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა გაიაროს საგანი.

შეფასების მთავარი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება პროგრამის კომპონენტებში/კურსში, განსაზღვრულია სილაბუსების შეფასების ნაწილში. მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება: - საშინაო დავალებები, ტესტები, ქვიზები, ზეპირი და წერილი გამოცდები, პრეზენტაციები, რეპორტები, შესრულებული სამუშაოს ანალიზი, პროექტები, ესეები, ლაბორატორიული სამუშაოები და სხვ.

სასწავლო კურსების სილაბუსებში გვხვდება ჩანაწერი შენიშვნის სახით, რომლის თანახმადაც სტუდენტს გაცდენილი შუალედური გამოცდის აღდგენის შესაძლებლობა არ აქვს. მიუხედავად ამდაგვარი ჩანაწერისა, ინტერვიუს დროს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში სტუდენტის მიმართვიანობის საფუძველზე ხდება სტუდენტის შუალედური გამოცდის აღდგენაზე დაშვება. იგივე პრინციპი მისადაგებული აქვს აგრეთვე გაცდენილ ქვიზებს. განსხვავებით გამოცდისა ქვიზის აღდგენის შესაძლებლობა სტუდენტს არ აქვს, მაგარამ ზოგ სილაბუსში დამატებითი ბონუს ქულების დაწესებით ივსება ის „ნაკლული“ ქულა, რაც სტუდენტმა დაკარგა ქვიზე არ გამოცხადებით. პროგრამაში გათვალისწინებულია შეფასების გასაჩივრების მექანიზმი. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი სტუდენტებს სთავაზობს შეფასების შედეგის ანალიზს, რაც შემდგომ სწავლის შედეგების გაუმჯობესების საწინდარია. უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს ეთიკის კოდექსი, რომელზეც ინფორმაცია თითოეულ სილაბუსში ჩანაწერის სახით გვხვდება. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპი დაცულია.

პროგრამის კურსების შეფასების კომპონენტი და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შესაბამისია სწავლის შედეგებთან.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „შენობის სისტემების ინჟინერია“.
- სასწავლო კურსის სილაბუსები.
- ინტერვიუს შედეგები.
- გამოკითხვის შედეგები.
- სტუდენტის ეთიკის კოდექსი.
- სტუდენტთა შეფასების ელექტრონული სისტემა.
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.

რეკომენდაციები:

○ -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ -
შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის შინაგანაწესსა და მარეგულირებელ დოკუმენტაციაში განსაზღვრულია სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის საკითხები.

უნივერსიტეტში შემუშავებულია ისეთი დოკუმენტაცია, როგორებიცაა:

- სტუდენტის ეთიკის კოდექსი.
- გამოცდების ჩატარების წესი.
- გარე მობილობის წესი.

- შიდა მობილობის წესი.
- სტრუქტურული ერთეულების დებულება.

აღნიშნული დოკუმენტები საჯაროდ დევს ვებ-გვერდზე. ცალკეულ დოკუმენტებში მითითებულია სტუდენტის უფლებები, მოვალეობები და შესაძლებლობები. ბაკალავრიატის დებულებასა და სტუდენტის ეთიკის კოდექსში გაწერილია სტუდენტთა უფლებები აკადემიურ პროცესში. ასევე მოცემულია, თუ როგორ ხდება სხვადასხვა გარემოებებში სტუდენტის კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფა.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა საკონსულტაციო და კარიერული განვითარების სამსახური. ინტერვიუებისას აღნიშნა, რომ აღნიშნული სამსახური სწავლის დაწყების პირველივე დღიდან, ორი კვირის განმავლობაში ინტენსიურად ხვდებიან სტუდენტებს და აწვდიან მათ ხელთ არსებულ ყველა „ბერკეტზე“ ინფორმაციას, რაც სტუდენტის კარიერული განვითარების გზის მშენებლობის აუცილებელი ელემენტია.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ინფორმაცია მიიღონ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე. მათ ადმინისტრაციიდან სრული მხარდაჭერა აქვთ კარიერული განვითარების კუთხით. საჭიროების შემთხვევაში, გარკვეულ კონსულტაციებს იღებენ აკადემიური პერსონალისგან. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში. თითოეულ სტუდენტს უნივერსიტეტი აღუთქვამს ფინანსურ მხარდაჭერას.

აღსანიშნავია სამეცნიერო კუთხით სტუდენტების აქტიური ჩართულობა. ისინი ლექტორებთან ერთად სამეცნიერო საქმიანობასაც ეწევიან. უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან და ხელს უწყობს სტუდენტებს როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე სხვადასხვა სახის სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის მიღებაში.

სტუდენტებთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ შეტყობინება სხვადასხვა ღონისძიებებისა და საკითხების შესახებ, ასევე საჭირო დოკუმენტაციაზე წვდომის ბმულები ეგზავნებათ ელექტრონულ ფოსტაზე. მათ აღნიშნეს, რომ დღის ნებისმიერ დროს შეუძლიათ დაკავშირება სტუდენტების დეკანთან საჭირო საკითხებთან დაკავშირებით. მათ აქვთ წვდომა საგანმანათლებლო პროგრამაზე, სასწავლო კურსების სილაბუსებზე, სასწავლო რესურსზე. ისინი იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა სახის შეფასების პროცესებში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო კურსის და სასწავლო კურსების განმახორციელებელი პროფესორების შეფასებას ახდენენ კითხვარების საშუალებით ელექტრონულად ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ინტერვიუებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე პასუხისმგებლები არიან საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს ყოველთვის შეუძლიათ დაუკავშირდნენ მას. გარდა ამისა, სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და სტუდენტთა განსხვავებული საჭიროებებიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა და სასწავლო კურსების სილაბუსებში კონსულტაციისთვის გამოყოფილია საათები.

სტუდენტებს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებისთანავე უფორმდება ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ნებისმიერ

ფორმალურ ურთიერთობას. ექსპერტთა მიერ გამოთხოვილ იქნა ხელშეკრულების ნიმუში, სადაც განსაზღვრულია სტუდენტის უფლებები. დოკუმენტი წარმოადგენს იურიდიულ გარანტს, რომ სტუდენტის უფლებები და პირადი ინფორმაცია სრულად იქნება დაცული.

უნივერსიტეტში სტუდენტების უფლებების მხარდაჭერას ინსტიტუციონალიზებულად ახდენს სტუდენტების დეკანი. ის არის ერთგვარი შუამავალი, დამაკავშირებელი რგოლი სტუდენტებსა და უნივერსიტეტის აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ მენეჯმენტს შორის და ახდენს სტუდენტთა პრობლემებსა და საჭიროებებს. ინტერვიუებისას სტუდენტების დეკანმა აღნიშნა, რომ სტუდენტები საჭიროების შემთხვევაში მას უკავშირდებიან ნებისმიერ დროს. აღნიშნული დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუებისას.

ხაზგასასმელია ის ეფექტიანი უკუკავშირი, რომელიც არსებობს პროგრამის ადმინისტრაციულ, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტთა შორის. სტუდენტები მონაწილეობენ სასწავლო პროცესის შეფასებაში. აღსანიშნავია რომ შეფასების შედეგებს უნივერსიტეტი ითვალისწინებს.

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://freeuni.edu.ge/>
- შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სტრუქტურული ერთეულების დებულება“.
- საგანმანათლებლო პროგრამა.
- სასწავლო კურსების სილაბუსები.
- წესდება.
- გარე მობილობის წესი.
- შიდა მობილობის წესი.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
--	-------------------------------------	--------------------------	--------------------------	--------------------------

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფასდება მხოლოდ ბაკალავრიატის პროგრამა „შენობის სისტემების ინჟინერია“.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია პასუხობს მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და მოქმედ კანონმდებლობას.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობაა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი) – 60.

თანაფარდობა აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მოწვეულ პერსონალთან:

- აკადემიური სამეცნიერო - 18
- მოწვეული პერსონალი - 39
- თანაფარდობა: 18/39=0.46

აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან:

- აკადემიური პერსონალი - 60

- სტუდენტები - 52
- თანაფარდობა: $60/52=1.15$

პერსონალის რაოდენობა სტატუსების მიხედვით (აკადემიური/მოწვეული/აფილირებული/პროფესორი/ასისტენტ პროფესორი და ა.შ):

- პროფესორი - 9 (აფილირებული 9)
- ასოცირებული - 7 (აფილირებული 7)
- ასისტენტ პროფესორი - 2 (აფილირებული 2)
- მოწვეული ლექტორი - 39
- ლექტორი 2
- სტუდენტების დეკანი - 1

დგინდება, რომ რამდენიმე პროფესორ-მასწავლებელს საერთაშორისო საზღვარგარეთის წამყვან აკრედიტებულ უნივერსიტეტებში აქვს განათლება მიღებული. ბოლო 5 წლის განმავლობაში, მათი ნაშრომები გამოქვეყნებულია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების გამოცდილება და კვალიფიკაცია დადგინდა მათი პირადი საქმეების გაცნობით. აღსანიშნავია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობას, დამატებით გააჩნია პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება ქვეყნის სხვადასხვა წამყვან კომპანიებში.

პერსონალის დატვირთვის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს:

- საკონტაქტო (აუდიტორიული მუშაობა);
- ინდივიდუალური მუშაობა, კონსულტაცია;
- სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა (გამოცემა, რედაქტირება, რეცენზირება, საგანმანათლებლო პროგრამის შედგენაში მონაწილეობა, სტუდენტთა მომზადება სამეცნიერო კონფერენციებისთვის და სხვ.);
- სხვა აქტივობები (სხვადასხვა პროფესიულ სემინარსა და ტრენინგებში მონაწილეობა, სტაჟირება...).

საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი, სადაც მოცემულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის დატვირთვა სასწავლო კურსების მიხედვით. პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომელთაც გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას. ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამას ხელმძღვანელობს დარგის კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც აქვს პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და მდიდარი გამოცდილება შესაბამისი მიმართულებით. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოშობით არის ახალი ზელანდიიდან, თუმცა მას არ აქვს ენობრივი ბარიერი. პროგრამის ხელმძღვანელი არის თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, მას გააჩნია მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება სან დიეგოს უნივერსიტეტში (საქართველოს ფილიალი) პროფესორის პოზიციაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ

პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებაში, საუნივერსიტეტო ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს დიდი პრაქტიკული გამოცდილება დარგში წამყვან ქართულ და უცხოურ კომპანიებთან, სხვადასხვა ხელმძღვანელ პოზიციაზე. ამდენად, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, გამოცდილება და ორგანიზაციული ფუნქციების შესრულება სრულად პასუხობს პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელ მოთხოვნებს, ასევე, შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ კარგად აქვთ გააზრებული და გაცნობიერებული პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებები და უფლება-მოვალეობანი.

საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების წესი“. დოკუმენტის მე-3 მუხლში განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დაგეგმვის პირობები. ხოლო მე-4 მუხლში განსაზღვრულია - საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების საკითხები.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდ აქტიურადაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

უნივერსიტეტს ყავს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. პროგრამის მიზნების განხორციელებასა და სტუდენტთა მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის ადმინისტრაციული პერსონალი. ასევე, ბიბლიოთეკაში, ლაბორატორიებსა და კომპიუტერულ ცენტრებში მომუშავე დამხმარე პერსონალი.

საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები, სადაც გაწერილია თანამდებობრივი მოვალეობები. მათი ფუნქციები შეესაბამება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მისიას. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის უფლებამოსილებები ურთიერთდაკავშირებულია და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სათანადოდ განხორციელებას, ასევე დახვეწა-გაუმჯობესებას.

ექსპერტთა შეფასებით, უნივერსიტეტის აკადემიურ/სამეცნიერო, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენცია, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
---	---	---	---	--

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სულ აკადემიური პერსონალი	60	14	8	18
- პროფესორი	9	2	2	9
- ასოცირებული პროფესორი	7	0	0	7
- ასისტენტ-პროფესორი	2	0	0	2
- ასისტენტი	0	0	0	-
მოწვეული პერსონალი	39	10	6	-
ლექტორი	2	2	0	-
სტუდენტების დეკანი	1	0	0	-
სამეცნიერო პერსონალი	18	2	2	18

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „შენობის სისტემების ინჟინერია“.
- სასწავლო კურსის სილაბუსები.
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
- უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი.
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობის შეფასების და პროფესიული განვითარების მექანიზმები.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა.
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები.
- შპს-თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების წესი.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები.
- პერსონალის სემესტრული დატვირთვა.
- ექსპერტების მიერ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები:

○ -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

4.1 ადამიანური რესურსი



4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა არის ბაკალავრიატის საფეხურის. შესაბამისად ექსპერტთა მიერ ქვესტანდარტი ვერ შეფასდა.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			-
სამეცნიერო პერსონალი			-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- -

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ შემუშავებული აქვს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობის შეფასების და პროფესიული განვითარების მექანიზმები“, რომელიც განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური პერსონალის, ასევე, მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასების და პროფესიული განვითარების ძირითად პრინციპებსა და მექანიზმებს. დოკუმენტში განსაზღვრულია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზნები:

- პერსონალს მიერ ფუნქციების ეფექტურად შესრულების უზრუნველყოფა.
- პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.
- პერსონალის საქმიანობაში ხარვეზების აღმოჩენა და გადაჭრის გზების იდენტიფიცირება.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში დანერგილია მეცნიერთა და აკადემიური პერსონალის ყოველწლიური აქტივობის შეფასება და შემუშავებულია განვითარების მეთოდები. შედეგების მონიტორინგს განახორციელებს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი, რომელიც გეგმავს ღონისძიებებს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით. აკადემიური პერსონალის განვითარების მენეჯერის ფუნქციებია: - ჩაატაროს აკადემიური პერსონალის განვითარებისათვის ტრენინგები სწავლების მეთოდოლოგიებისა და შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით; მონაწილეობა მიიღოს აკადემიური პერსონალის შესარჩევ საჩვენებელ ლექციებში; შეიმუშაოს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მეთოდები; ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სწავლების მეთოდების, ტექნოლოგიებისა და შეფასების სისტემის თანამედროვე მიდგომების დანერგვასა და განვითარებას; მონაწილეობა მიიღოს პროგრამების საგანმანათლებლო პროგრამების მეთოდოლოგიურ შემუშავებაში.

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერმა ინტერვიუებისას აღნიშნა, რომ ყოველი სემესტრის დასაწყისში ატარებს ტრენინგებს, აცნობს ახლად არჩეულ აკადემიურ პერსონალს სილაბუსების შემუშავების მეთოდოლოგიას, სწავლებისა და სწავლის თანამედროვე პრინციპებსა და სტრატეგიებს. ეხმარება სასწავლო კურსისთვის შესაბამისი შეფასების სისტემის, ცოდნის შემოწმების ფორმების შემუშავებაში, რომელიც უნდა ასახავდეს და ზომავდეს სასწავლო კურსში პერსონალის მიერ შემუშავებულ სწავლის შედეგებს. ასევე, ქმნის ვორქშოპების საორიენტაციო შეხვედრების სტრუქტურას და გეგმას, რომელიც გულისხმობს აკადემიური პერსონალის დამხმარებას სილაბუსების გამართულ მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფაში, კურსისთვის რელევანტური შეფასების სისტემის

შემუშავებაში, შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებას სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების და მიდგომების შესაბამისად; იყენებს ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულ კვლევის შედეგებს, რის საფუძველზეც ავლენს აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებულ სწავლების მეთოდებში სუსტ მხარეებს, შეიმუშავებს სამუშაო შეხვედრების გეგმას შესაბამისის სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად. სემესტრულად გეგმავს სამუშაო სემინარებს, გამოავლენს პერსონალის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდების, სტრატეგიების, ცოდნის შემოწმების ფორმების სუსტ და ძლიერ მხარეებს; აცნობს მათ განათლების სფეროში არსებულ თანამედროვე ტენდენციებს და ხელს უწყობს თვითგანვითარების მოტივაციის ამაღლებაში.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხორციელდება მეცნიერის ყოველწლიური აქტივობების შეფასება გარკვეული პერიოდის განმავლობაში. მეცნიერის ყოველწლიური საქმიანობა ფასდება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ინსტიტუტების მიხედვით შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- ცოდნის ფონდის მიერ გაწეული დაფინანსება.
- მეცნიერის მიერ წლის განმავლობაში მოპოვებული გრანტების მოცულობა და რაოდენობა.
- Impact Factor -იან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა და რეიტინგი.
- მეცნიერის ციტირების ინდექსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- გამოქვეყნებული წიგნები, სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.
- სასწავლო პროცესში ჩართულობა (აკადემიური დატვირთვა წლის განმავლობაში, საათების რაოდენობა).

მეცნიერების ყოველწლიური აქტივობის შეფასების შედეგების მონიტორინგს განახორციელებს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი სამეცნიერო სამსახურის კოორდინატორებთან ერთად და საჭიროების შემთხვევაში დაგეგმავს ღონისძიებებს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „შენობის სისტემების ინჟინერია“.
- პერსონალის ფუნქციები.
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები, CV-ები.
- პერსონალის შერჩევის წესი.
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობის შეფასების და პროფესიული განვითარების მექანიზმები.
- აკადემიური პერსონალისა და სწავლების პროცესში მონაწილე სხვა პირების ეთიკის კოდექსი.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

○ -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ -
შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ და მატერიალურ რესურსს. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარითა და ყველა სხვა რესურსით.

საგანმანათლებლო დაწესებულება ფლობს მაღალი დონის, თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურას. შენობები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, რომელიც აუცილებელია სასწავლო გარემოსთვის და ყოველმხრივ მოსახერხებელი როგორც სტუდენტებისთვის, ისე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა აუდიტორია აღჭურვილია პროექტორით. აქვს თანამედროვედ მოწყობილი სასწავლო ოთახები ლექციებისათვის, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის. ტერიტორიაზე სტუდენტებისთვის მოწყობილია სამუშაო სივრცეები.

უნივერსიტეტის კამპუსის ინფრასტრუქტურა მოიცავს შემდეგ ობიექტებს:

- კვლევითი ინსტიტუტები და ლაბორატორიები;
- საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრი;
- უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ლაბორატორიები;
- სასწავლო ლაბორატორიები;
- ბიბლიოთეკა;
- საგამოცდო ცენტრი;

- სპორტული დარბაზი;
- კაფეტერია;
- პარკინგი.

უნივერსიტეტის კამპუსის ტერიტორიაზე, სადაც აკადემიური ან სამეცნიერო პროცესი მიმდინარეობს ინტერნეტი ხელმისაწვდომია უსადენო ტექნოლოგიებით.

უნივერსიტეტის კამპუსი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათების მიწოდებით. კამპუსს აქვს გათბობის 3 ალტერნატიული მეთოდი:

კამპუსი ასევე უზრუნველყოფილია უსაფრთხოების შემდეგი სისტემებით:

- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემა მოქმედებს საქართველოში დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.
- ევაკუაციის გეგმა გამოკრულია შენობის ყველა სართულზე.
- შენობაში არსებობს პირველადი დახმარების აღმოჩენის საშუალება ასეთის საჭიროების შემთხვევაში;
- შენობაში მოქმედებს 24-საათიანი დაცვა და სამეთვალყურეო კამერები როგორც შენობის შიგნით ყველა სართულზე ასევე შენობის პერიმეტრზე.

ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა სასწავლო ლაბორატორიები - სამოქალაქო ინჟინერიის ლაბორატორია, ჰიდრავლიკის ლაბორატორია, ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიები. ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ექცევა ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას (learning-by-doing). სტუდენტებს ლაბორატორიული სამუშაოები უტარდებათ თანამედროვედ აღჭურვილ ლაბორატორიებში. მათი განმარტებით, პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური პერსონალი. თითოეულ სტუდენტს ლაბორატორიული მუშაობისას აქვს - თავისი სამუშაო სივრცე; ყველა საჭირო ხელსაწყო; მასალები - ლაბორატორიული სასწავლო ჯგუფები კომპლექტდება ამ მოთხოვნის გათვალისწინებით და ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება 20-ს (სამუშაო ადგილების შესაბამისად). პროგრამის კვლევით და აკადემიურ კომპონენტის განხორციელებაში ჩართულნი არიან, მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი. ექსპერტთა მიერ შესწავლილი აკადემიური და ტექნიკური პერსონალის პირადი საქმეებით დადასტურდა მათი კვალიფიკაცია.

საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკა სტუდენტებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სთავაზობს სასარგებლო ბმულებს. ბიბლიოთეკის ფონდი მოიცავს სასწავლო და კვლევითი პროცესისათვის აუცილებელ სახელმძღვანელოებს, მრავალფეროვან ლიტერატურას და პერიოდულ გამოცემებს როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ ბიბლიოთეკა თანამშრომლობს ქართულ და საერთაშორისო გამომცემლობებთან და მუდმივად ანახლებს ფონდებს. საგანმანათლებლო დაწესებულებას წვდომა აქვს შემდეგ სასარგებლო ბმულებზე:

JURN- მულტიდისციპლინარული სამიეზო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს წვდომას აკადემიური სახელმძღვანელოების, სტატიების და ელექტრონული ჟურნალების სხვადასხვა მონაცემთა ბაზაზე.

Web of Science - მულტიდისციპლინარული საძიებო პლატფორმა, რომელიც აერთიანებს რამდენიმე სამეცნიერო ბაზას (Web of Science Core Collection, KCI-Korean Journal Database, MEDLINE, Russian Science Citation Index, SciELO Citation Index). მოიცავს 19 000 ჟურნალს, რომლებიც წარმოდგენილია სრულ სტატიების სახით, ასევე კონფერენციების მასალებს, ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებს, საპატენტო ინფორმაციასა და სხვ.

BENTHAM Open - მოიცავს ღია წვდომის, რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებს საბუნებისმეტყველო, სოციალური, ჰუმანიტარული, მედიცინის, ტექნიკისა და სხვა დარგების შესახებ და სხვ.

ELSEVIER - წამყვანი საერთაშორისო ონლაინ გამომცემლობაა, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს უახლეს სამეცნიერო ლიტერატურას, სტატიებს, რეფერატებს, წიგნებს და ა.შ. კონსორციუმის წევრი ორგანიზაციებისათვის ელექტრონულად ხელმისაწვდომი გახდა მთელ მსოფლიოში გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურა, არამხოლოდ მოკლე ანოტაციების, არამედ შრომების სრული ვერსიების დონეზეც. საძიებო ბაზები: <http://www.scopus.com> და <https://www.sciencedirect.com/>

შენობა ადაპტირებულია თანამედროვე და საგანმანათლებლო ობიექტების აღჭურვისა და უზრუნველყოფის მოთხოვნებთან.

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://freeuni.edu.ge/>
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი <https://freeuni.edu.ge/library>
- ბიბლიოთეკის დებულება.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებულ სასწავლო პროგრამებს დამოუკიდებელი ბიუჯეტები არ გააჩნიათ. ფინანსური მოდელი აერთიანებს ყველა პროგრამისა და ადმინისტრაციული ერთეულის ბიუჯეტს. დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ბაკალავრის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტების სწავლის გადასახადისგან შემოსული თანხა (სრული შემოსავლების 91,3%).

სტუდენტების სწავლის გადასახადი შედგება შემდეგი ძირითადი წყაროებისაგან:

- სტუდენტების გადახდები 64%
- სახელმწიფო სასწავლო გრანტი 36%
- სოციალური გრანტი 0%
- სხვა დაფინანსება 0%

თავისუფალ უნივერსიტეტს ასევე გააჩნია ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები სამეცნიერო პროექტების დასაფინანსებლად (სრული შემოსავლების 5,2%) და შემოსავლები სხვადასხვა სასერტიფიკატო პროგრამებიდან (სრული შემოსავლების 3,5%).

ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ თავისუფალი უნივერსიტეტის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი არის საქველმოქმედო ორგანიზაცია ა(ა)იპ „ცოდნის ფონდი“, რომელსაც თავისთავად, კანონის შესაბამისად არ გააჩნია კერძო ბენეფიციარი. თავისუფალი უნივერსიტეტი წარმოადგენს საქველმოქმედო ორგანიზაცია ა(ა)იპ „ცოდნის ფონდის“ ჯგუფის წევრს, რომელსაც გააჩნია გაუთვალისწინებელ და ფორსმაჟორულ სიტუაციებში თავისუფალი უნივერსიტეტის ფინანსური უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი რესურსი.

თავისუფალ უნივერსიტეტში კვლევების დაფინანსება ხდება სამი ძირითადი წყაროდან:

1. უნივერსიტეტის გარეთ მოპოვებული სამეცნიერო გრანტებიდან (როგორცაა მაგალითად შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები).
2. უნივერსიტეტის შიდა საბიუჯეტო დაფინანსება.
3. ინდივიდუალური კვლევითი და პროფესიული განვითარების სახელფასო დაფინანსება.

თავისუფალ უნივერსიტეტს აქვს მიზნად დასახული, რომ ყოველ სასწავლო წელს, ჯამური ხარჯების მინიმუმ 10% მოხმარდეს კვლევების დაფინანსებას. აქედან 5% იყოს უნივერსიტეტის გარეთ მოპოვებული დაფინანსება, ხოლო მინიმუმ 5% შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსება. აღსანიშნავია, რომ შპს - თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს გააჩნია საბანკო დეპოზიტზე 1 თვის სახელფასო ფონდის ოდენობის თანხა ფორსმაჟორული გარემოებებისგან თავის დასაცავად.

შენობის სისტემების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის ფინანსების დოკუმენტში წარმოდგენილია შემოსავლებისა და ხარჯების ცხრილი, რომლის საფუძველზეც დგინდება, რომ უნივერსიტეტს თავისუფლად შეუძლია საკუთარი შემოსავლებით ხარჯების დაფარვა. საგანმანათლებლო დაწესებულება წარმოადგენს გრძელვადიანად ფინანსურად სტაბილურ და მდგრად ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება.

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ბიუჯეტი.
- შენობის სისტემების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის ფინანსები.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://freeuni.edu.ge/>
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში შემუშავებულია „ხარისხის მართვის მექანიზმები“. დოკუმენტში განსაზღვრულია შემდეგი პუნქტები - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები, ხარისხის ტოტალური უზრუნველყოფის სქემა. აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერის, სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის, სკოლის/ფაკულტეტის კოორდინატორების, პროგრამების განვითარების საკითხებში პრორექტორის, სასწავლო პროცესების მართვის საკითხებში პრორექტორის, სტუდენტების დეკანის ჩართულობის შესახებ ინფორმაცია გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობის ნაწილში. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობაში ჩართული სტრუქტურული ერთეულები არიან - სკოლის/ფაკულტეტის კოორდინატორები, სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი, პრორექტორი პროგრამების განვითარების საკითხებში, პრორექტორი სასწავლო პროცესების მართვის საკითხებში, სტუდენტების დეკანი. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ დოკუმენტში გაწერილია, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და მოვალეობები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციების ნაწილში განსაზღვრულია შემდეგი საკითხები:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით;
- სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესების შესახებ დოკუმენტების შემუშავების პროცესსა და განახლებაში მონაწილეობა;
- ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების მიზნით, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების დაგეგმვა, განხორციელება, ანალიზი და სათანადო რეაგირება;
- საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო და სემესტრული გეგმების, სილაბუსების შექმნისა და განახლების პროცესში რეკომენდაციების და კონსულტაციების გაწევა;
- სწავლის, სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა და შეფასება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით სემესტრული ანგარიშების მომზადება და რექტორისთვის წარდგენა შემდგომი რეაგირების დაგეგმვის მიზნით.

- უნივერსიტეტის ავტორიზაციის პროცესის დაგეგმვა, სათანადო დოკუმენტაციების შემუშავება, რეკომენდაციების და კონსულტაციების გაწევა, საავტორიზაციო ვიზიტის პროცესში და ავტორიზაციის საბჭოს სხდომებზე მონაწილეობის მიღება;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის დაგეგმვა, სათანადო დოკუმენტაციების შემუშავება, რეკომენდაციების და კონსულტაციების გაწევა, სააკრედიტაციო ვიზიტის პროცესსა და აკრედიტაციის საბჭოს სხდომებში მონაწილეობის მიღება.

ინტერვიუებისას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერმა აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური “ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის” (PDCA) მიხედვით ახორციელებს საქმიანობას. აღნიშნული ითვალისწინებს “დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, მოახდინე რეაგირების” პრინციპს. აღნიშნული მოდელი, როგორც საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების სქემა, გამოიყენება უნივერსიტეტში სრული და ცალკეული პროცესების ხარისხის უზრუნველსაყოფად და განსავითარებლად. ხარისხის “ხარისხის უზრუნველყოფის ციკლიდან” (PDCA) გამომდინარე, უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს საკუთარ სამუშაოს. განსაზღვრავს, საქმიანობის რომელი ასპექტები უნდა შეფასდეს, რომელი სკოლები თუ საგანმანათლებლო პროგრამები და როგორი თანმიმდევრობით; ახორციელებს დაგეგმილ სამუშაოს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით; აკეთებს მიღებული შედეგების ანალიზს; განსაზღვრავს აღმოჩენილი ხარვეზების მიზეზებს და შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს.

ინტერვიუებისას ხარისხის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერმა აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა არის ინტეგრირებული ხასიათის და ეფუძნება ხარისხის განვითარების, სრულყოფის, პერსონალთან და სტუდენტებთან ღია თანამშროლობის პრინციპებს. აქცენტი გააკეთა ხარისხის კონტროლსა და უზრუნველყოფაში უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები ჩართულებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ გუნდური მუშაობის პრინციპით ახდენენ პრობლემების იდენტიფიცირებას, შეთანხმებას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე, მისი განხორციელების გზებზე და პროცესების დაგეგმვაზე.

უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმაში გაწერილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და სტრუქტურა ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ ხედვას შეინარჩუნოს „თხელი სტრუქტურის“ (Lean Structure) იდეა, რათა სტუდენტებსა და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს შეექმნათ ნაკლები ბიუროკრატიული ბარიერი და დაცული იყოს მათი ღირებულებები და აკადემიური თავისუფლება.

ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულია კითხვარები, კერძოდ:

- პროგრამის ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი.
- სტუდენტების კითხვარი.
- კითხვარი დასაქმების შესახებ.
- ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების კითხვარი.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში დანერგილია SurveyMonkey-ს პლატფორმის გამოყენებით სხვადასხვა სახის გამოკითხვა. სასწავლო პროცესის განმავლობაში შიდა შეფასება ხორციელდება სისტემატურად. სტუდენტები უფლებამოსილნი არიან ანონიმურად

შეაფასონ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სასწავლო კურსები, სკოლის ადმინისტრაციის საქმიანობა, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხი. რაოდენობრივი კვლევები ეხება სასწავლო პროცესის ტექნიკურ და შინაარსობრივ მხარეს. კითხვარების დამუშავების შემდეგ ხდება შედეგების ანალიზი, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს და სილაბუსების განახლებისთვის. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს საშუალება აქვს შეაფასოს გამოყენებული სწავლების მეთოდების, მიდგომების, შეფასების სისტემის ეფექტიანობა და სასწავლო კურსის შინაარსის ადეკვატურობა დასახულ მიზნებთან მიმართებაში. ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზს, გაზომვას და მიღებული მონაცემების განხილვის შემდეგ პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიკაციას.

სტუდენტებთან ინტერვიუებისას დადასტურდა, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროცესისა და ლექტორების შეფასების პროცესში. ელ. ფოსტის მისამართზე მათ ეგზავნება შეტყობინება აღნიშნულთან დაკავშირებით და ელექტრონულად ავსებენ კითხვარებს.

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა (2018-2025 წწ).
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- SurveyMonkey სისტემაში არსებული კვლევები.
- კითხვარები.
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობის შეფასების და პროფესიული განვითარების მექანიზმები.
- 2021-2022 აკადემიური წელი გაზაფხულის სემესტრი. კითხვარების შედეგების ანგარიში.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

5.1	შიდა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ხარისხის შეფასება					

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი მიესალმება გარე შეფასებას. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში გამოთქმულ რეკომენდაციებსა და რჩევებს უნივერსიტეტი განიხილავს. დაწესებულება ითვალისწინებს რეკომენდაციებს და ისეთ რჩევებს, რაც მათი აზრით ხელს შეუწყობს სწავლის ხარისხის უზრუნველყოფასა და განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები.
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „შენობის სისტემების ინჟინერია“.
- სასწავლო კურსის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში, საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება ორი ძირითადი მიდგომა - პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდი. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ხდება ინფორმაციის სისტემატური შეგროვება, ანალიზი და განხორციელებული შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რაც ითვალისწინებს სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზს. ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა, რომლის ანალიზიც წარმოადგენს რეკომენდაციების ჩამოყალიბების საფუძველს. დამსაქმებლების გამოკითხვა ტარდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით. შეფასების მექანიზმი სისტემატურად შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა საფუძველზეც ვითარდება პროგრამა. საბაკალავრო პროგრამისათვის დამატებით არის შემუშავებული პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების გეგმა.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის წარმომადგენლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი კარგად იცნობენ პროგრამას. პროგრამაში გათვალისწინებულია დარგში არსებული მოთხოვნები. ისინი ხელს შეუწყობენ უნივერსიტეტს, რათა დაასაქმონ კურსდამთავრებულები. რამოდენიმე კომპანიას ანაზღაურებად სტაჟირებაზე ჰყავს დასაქმებული მე-3 კურსის სტუდენტები. კომპანიის წარმომადგენლები გამოხატავენ მზაობას პროგრამის განვითარებაში ჩართულობისთვის და აღნიშნულთან დაკავშირებით მესიჯს უგზავნიან უნივერსიტეტს.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების წესი“. დოკუმეტში აღნიშნულია, რომ პროგრამის შემუშავებისა და დაგეგმვისას გათვალისწინებულია შემდეგი საკითხები:

- უნივერსიტეტის მისია.
- საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების მოდული.
- შრომის ბაზრის მოთხოვნების (ბაზრის კვლევის საფუძველზე).
- უნივერსიტეტის საქმიან გარემოსთან (დამსაქმებლები, ლოკალური და საერთაშორისო სპეციალური სააკრედიტაციო ასოციაციები და სხვ.) კონსულტაციების შედეგად მიღებული ინფორმაცია.
- პროგრამის შესაბამისი საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება.
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- შესაბამისი აკადემიური პერსონალის მოსაზრებები მიზნების, კვალიფიკაციის და სწავლის შედეგების განსაზღვრისათვის.
- მნიშვნელოვანი მარეგულირებელი დოკუმენტები, როგორც შიდა (ბაკალავრიატის დებულება), ისე გარე (ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო, სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, აკრედიტაციის სტანდარტები, დარგობრივი მახასიათებელი (არსებობის შემთხვევაში) და სხვ.) დოკუმენტები.

- პროგრამისთვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობა.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ინტერვიუებისას აღნიშნეს, რომ პროგრამის განვითარების მიზნით უწყვეტად და სისტემატურად ხორციელდება თვითშეფასების პროცესი, რომელშიც ჩართულია როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ასევე უნივერსიტეტის სკოლები/ფაკულტეტები და ყველა პირი, ვისაც შესაძლოა ეხებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება. „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების წესში“ განსაზღვრულია პროგრამების შეფასების და განვითარების პროცესში ჩართული სუბიექტები, კერძოდ:

- **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური**, რომელიც ინფორმაციას იღებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვისა და ინტერვიუების გზით.
- **სტუდენტების დეკანი**, რომელიც ინფორმაციას იღებს სტუდენტებისაგან, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისაგან მათთან შეხვედრებისა თუ ინტერვიუების დროს.
- **შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი ან/და კოორდინატორი**, რომელიც ინფორმაციას იღებს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისაგან კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებით (იმეილი, შეხვედრა, ფოკუს ჯგუფი და ა.შ.). ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერმა ინტერვიუებისას აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასების პროცესში გამოიყენება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მაჩვენებლები. მიღებული ინფორმაციისა და მონაცემების გაზიარება ხდება პრორექტორთან პროგრამების განვითარების საკითხებში და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან შემდგომი დამუშავებისა და ანალიზისათვის. ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ძირითადად შედგება შემდეგი პირებისაგან: - რექტორი, პრორექტორი პროგრამების განვითარების საკითხებში, პრორექტორი სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში, კანცლერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი, ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი, სტუდენტების დეკანი, საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი, სამეცნიერო სამსახურის კოორდინატორი, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების მენეჯერი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის განმარტებით, პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესმა შეიძლება მოიცვას შემდეგი საკითხები: - ბაზრის მოთხოვნის შესწავლა და ძირითადი მიგნებების გამოკვეთა; საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამისა და პროგრამის კომპონენტების შესაბამისობა; სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა, კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი, მატერიალური და ფინანსური რესურსები; სწავლების მეთოდოლოგია და სასწავლო პროცესის ორგანიზება, აგრეთვე პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა; სტუდენტთა მიღწევები; სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები სხვ. პროგრამის შეფასების პროცესში ხარვეზების იდენტიფიცირების

შემთხვევაში, ხდება შესაბამისი რეაგირება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს: კურიკულუმის ცვლილებას, სემესტრული გეგმის ცვლილებას, სილაბუსის განახლებას, ადამიანური და მატერიალური რესურსის გაუმჯობესებას, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწას და სხვ. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში მხედველობაში მიიღება გარე ხარისხის შეფასებისას გაცემული რეკომენდაციები.

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „შენობის სისტემების ინჟინერია“.
- სასწავლო კურსის სილაბუსები.
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, კომპანიების წარმომადგენლებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.
- „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების წესი“.
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა.
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი.
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა (2018-2025 წწ).
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების გეგმა.
- 2021-2022 აკადემიური წელი გაზაფხულის სემესტრი. კითხვარების შედეგების ანგარიში.
- კურიკულუმის რუკა.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://freeuni.edu.ge/>

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
--	-------------------------------------	--------------------------	--------------------------	--------------------------

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

არ აქვს

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

„შენობის სისტემების ინჟინერია“, ბაკალავრიატი


პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტანდარტები				
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ირმა ღარიბაშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

თეა ნარეკლიშვილი



დიმიტრი ცანავა

